პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ ივლისი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ცვლილება იქნას შეტანილი შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში და განკარგულების დანართით განსაზღვრული ელექტრონული აუქციონის ფორმით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის პირობები განისაზღვროს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს დანართით განსაზღვრული შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის პირობების მოწონებას აუქციონის გამოცხადებაზე.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:
ელექტრონული აუქციონის ფორმით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხული ავტობუსებზე რეკლამის განთავსებისათვის ვადიანი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს შემოსავლების ზრდა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება
ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
გაიზრდება შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს შემოსავლები.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის №27 დადგენილება.
პროექტი შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.
პროექტთან დაკავშირებით კონსულტაციები განვლილ იქნა შპს ,,ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს დირექტორთან (ბადრი ფარტენაძე).

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის _____ ივლისის
N_____ განკარგულების

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის პირობები

1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის საგანია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ (შემდგომში - „უფლების გამცემი“) მუნიციპალური ავტობუსების გარე ფასადზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე საერთო ფართით არაუმეტეს 4482,3მ² და ასევე მუნიციპალური ავტობუსების დამატების/რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დამატებით არაუმეტეს 672 მ.² - რაც საერთო ჯამში წარმოადგენს 5154.3 კვ.მ.-ს. რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება (შემდგომში - „განთავსების უფლება“), რაც მოიცავს ავტობუსების მარჯვენა, მარცხენა და უკანა საქარე მინებსა, მთელ კონსტრუქციას, წინა საქარე მინის გარდა.
2. უფლების მიმღები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე უფლების გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, უფლების მიმღებსა და უფლების გამცემს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ინფორმაციის ან/და სოციალური რეკლამის ან/და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე უფლების გამცემის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსების მიზნით უსასყიდლოდ გადასცემს უფლების გამცემს საერთო სარეკლამო ფართიდან, ინფორმაციისა და სოციალური რეკლამის განთავსებისათვის საჭირო ფართს.
3. ამ სააუქციონო პირობებით გათვალისწინებული განთავსების უფლება გავრცელდება უფლების გამცემის მუნიციპალურ ავტობუსებზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე - საერთო ფართით 4482.3 კვ.მ. და ასევე მუნიციპალური ავტობუსების დამატების/რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დამატებით არაუმეტეს 672 მ.² საერთო ჯამში განთავსების უფლება გავრცელდება 5154.3 კვ.მ ფართზე. ამასთან, უფლების მიმღები თავად განსაზღვრავს რა პროპორციით აითვისებს აღნიშნული ოდენობის სარეკლამო ფართს ავტობუსების გარე ფასადზე.
4. განთავსების უფლების გადაცემის მოქმედების ვადაა 30 (ოცდაათი) წელი.
5. განთავსების უფლების საწყისი საფასური შეადგენს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (შემდგომში - „საფასური“).
6. სავაჭრო ბიჯი შეადგენს 100 000 (ასი ათასი) ლარს.
7. ამ აუქციონის შედეგად დადგენილი საფასური გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.
8. აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია ბე-ს სახით გადაიხადოს 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარი, რომელიც უფლების მიმღებს ჩაეთვლება განთავსების უფლების საფასურში.
9. უფლების გამცემი უფლებამოსილია დაიტოვოს ბე და არ დაუბრუნოს იგი აუქციონში გამარჯვებულს, თუ:

   ა) აუქციონში გამარჯვებული პირის მიზეზით არ გაფორმდა ხელშეკრულება ან/და

   ბ) ხელშეკრულება ცალმხრივად იქნა შეწყვეტილ უფლების გამცემის მიერ, იმის გამო, რომ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა არ გადაიხადა უფლების საფასური ამ პირობების მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში.
10. უფლების მიმღებს უფლება აქვს, უფლების გამცემის თანხმობით გაასხვისოს რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება მხოლოდ იგივე პერიოდით და იგივე შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს მის მიმართ.
11. უფლების მიმღები უფლებამოსილია რეკლამის განთავსების მიზნით საკუთარი ხარჯით დაამონტაჟოს, შეცვალოს (გააუმჯობესოს) ან მოხსნას ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ადგილას არსებული შესაბამისი სარეკლამო საშუალება/კონსტრუქცია/მექანიზმი (ასეთი არსებობის ან საჭიროების შემთხვე-

ვაში) უფლების გამცემის უფლებამოსილი სამსახურების/თანამშრომლების თანხმობით და მეთვალყურეობის ქვეშ.

12. უფლების მიმღებისთვის ცნობილია, რომ მუნიციპალური ავტობუსების მიმართ, მათი მწყობრიდან გამოსვლის თუ სხვა ტექნიკური მიზეზების გამო პერიოდულად საჭიროა ტექნიკური/სარემონტო მომსახურების სამუშაოების ჩატარება, რა დროსაც უფლების გამცემი ვალდებულია სამუშაოების ჩატარება უზრუნველყოს გონივრულ ვადაში, ხოლო აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სარეკლამო საშუალების მოცდენა, უფლების გამცემის ბრალის მიუხედავად, არ ნიშნავს უფლების გამცემის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევას და არ იწვევს იმ შედეგებს, რაც საქართველოს კანონმდებლობით ან წინამებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია; ასევე უფლების მიმღებისათვის ცნობილია, რომ მუნიციპალური ავტობუსები ნაწილი მათი ექსპლუატაციის გამო დროთა განმავლობაში შესაძლებელია გამოვიდეს მწყობრიდან და უვარგისი გახდეს ექსპლუატაციისათვის, რა დროსაც უფლების გამცემი უზრუნველყოფს მათი ჩანაცვლება შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურების გავლით გონივრულ ვადაში, ხოლო აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სარეკლამო საშუალების მოცდენა (რეკლემის განთავსებისათვის დადგენილი ფართის კლება), უფლების გამცემის ბრალის მიუხედავად, არ ნიშნავს უფლების გამცემის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევას და არ იწვევს იმ შედეგებს, რაც საქართველოს კანონმდებლობით ან წინამებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია;

13. უფლების გამცემი ვალდებულია, წინასწარი წერილობითი და/ან ზეპირი გაფრთხილებიდან 02 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს უფლების მიმღების წარმომადგენელთა დაშვება შესაბამის ადგილას, რეკლამის განთავსების/დემონტაჟის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

14. ავტობუსებზე განთავსებული სარეკლამო მასალის შინაარსს განსაზღვრავს უფლების მიმღები და იგი არ საჭიროებს უფლების გამცემთან შეთანხმებას. უფლების მიმღები თავად უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის მოპოვებას.

15. უფლების მიმღებსა და უფლების გამცემს შორის ამ სააუქციონო პირობების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

15.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია უფლების მიმღების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა უფლების გამცემის თანხმობის გარეშე, გარდა ამ პუნქტის 15.1.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

15.1.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად ამ პუნქტის 15.1.3. და 15.1.4. პუნქტების შესაბამისად;

15.1.3. უფლების გამცემის მიერ ხელშეკრულება ცალმხვივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

15.1.3.1. თუკი უფლების მიმღები მიზნობრივად არ იყენებს განთავსების უფლებას;

15.1.3.2. განთავსების უფლების გამოყენებისას უფლების მიმღები არღვევს საქართველოს კანონმდებლობას;

15.1.3.3. უფლების მიმღები უფლების გამცემის გაფრთხილების მიუხედავად, არ აღმოფღვრის დარღვევას და ასევე მნიშვნელოვნად აზიანებს ქონებას ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

15.1.3.4. უფლების მიმღების მიერ სახელშეკრულებო საზღაურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

15.1.3.5. უფლების მიმღები პირის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში;

15.1.3.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

15.1.4. უფლების მიმღების მიერ ხელშეკრულება ცალმხვივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

15.1.4.1. არ მოხდა უფლების გამცემის მიერ უფლების მიმღები პირისათვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემა და უფლების გამცემი ვერ შესძლებს ამ ნაკლის გამოსწორებას გონივრულ ვადაში;

15.2. სახელშეკრულებო ვადის გასვლის გამო.

16. ამ პირობების 15.1.2.-15.1.4.1. ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ იგი წერილობით გააფრთხილებს და მისცემს დამატებით გონივრულ ვადას დარღვევის გამოსასწორებლად მეორე მხარეს და აღნიშნული ვადის განმავლობაშიც დარღვევა არ იქნება გამოსწორებული.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

17.1. ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, მიუხედავად იმისა შეწყდა თუ არა ხელშეკრულება, უფლების მიმღებს უფლების გამცემის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

17.2. ხელშეკრულების უფლების მიმღების მიერ ბრალეული დარღვევის შემთხვევაში, უფლების გამცემის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას, უფლების მიმღებს, 17.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გარდა, უფლების გამცემის სასარგებლოდ ასევე პირგასამტეხლოს სახით დამატებით დაეკისრება, მთლიანი სახელშეკრულებო საზღაურის 2%-ის გადახდა.

18. მხარეები გამოყოფენ უფლებამოსილ თანამშრომლებს, რომელიც უზრუნველყოფენ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებას/კონტროლს.

19. თუ უფლების გამცემის ავტობუსებზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე, აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, უფლების გამცემის მიერ მესამე პირ(ებ)თან გაფორმებულია რეკლამის განთავსების მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები, ხელშეკრულების გაფორმებით უფლების მიმღები ხდება უფლების გამცემის უფლებამონაცვლე და მას გადაეცემა აღნიშნული ხელშეკრულებებით უფლების გამცემის მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობები, ამასთან, ფინანსური მოთხოვნები გადაეცემა მხოლოდ დარჩენილი პერიოდის პროპორციულად. უფლების გამცემის მიერ გაუწეველი (უფლების გადაცემის შემდგომი) მომსახურებისათვის მესამე პირებისაგან წინასწარ (ავანსად) მიღებული თანხა უფლების გამცემის მიერ უნდა გადაეცეს უფლების მიმღებს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 90 დღის ვადაში.

20. უფლების მიმღები ვალდებულია დაიცვას შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები. ამასთან, უფლების მიმღებმა რეკლამის განთავსებისას, ასევე მისი გავრცელების მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ქონებით იმგვარი სარგებლობა, რომელიც არ გამოიწვევს უფლების გამცემის ქონების დაზიანებას, სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების, საწარმოს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების, უფლების გამცემის და უფლების გამცემის ქონებით კანონიერი უფლების მიმღები პირის უფლებების და კანონიერი ინტერესების დარღვევას.

21. უფლების გამცემი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ უფლების მიმღებისათვის მიყენებულ ზიანზე, მათ შორის, რეკლამის ან/და რეკლამის გავრცელების საშუალებების დაზიანების შემთხვევაში.

22. მხარეებს შორის აუქციონის შედეგების შესაბამისად დადებული ხელშეკრულება სააუქციონო პირობებთან ერთად შეიძლება შეიცავდეს დამატებით დებულებებს, რომელიც არ გამოიწვევს უფლების გამცემის და უფლების მიმღების წინამდებარე პირობებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მდგომარეობის გაუარესებას (ვალდებულებების გაზრდას და/ან დამძიმებას).

23. უფლების მიმღები ვალდებულია წინასწარ, 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან ზეპირად აცნობოს უფლების გამცემს ობიექტზე რეკლამის განთავსების თაობაზე, რათა უფლების გამცემმა უზრუნველყოს უფლების მიმღების უფლებამოსილი პირის მიერ რეკლამის განთავსება და რეკლამის განთავსების პროცესის მეთვალყურეობა უფლების გამცემის უფლებამოსილი თანამშრომლის მეშვეობით.

24. უფლების მიმღების მიერ ვალდებულებების დარღვევის გამო, უფლების გამცემის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უფლების მიმღებს გადახდილი საფასური არ დაუბრუნდება. იმ შემთხვევაში თუ უფლების გამცემის მიერ ვალდებულებების დარღვევის გამო უფლების მიმღები ვადამდე, ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას, აგრეთვე თუ უფლების გამცემი კანონმდებლობის საფუძველზე, ვადამდე, ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას ისეთი მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული უფლების მიმღების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 90 დღის ვადაში, უფლების გამცემი

უზრუნველყოფს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის, აუდიტორის მიერ შეფასებული უფლების ღირებულების (დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით) უფლების მიმღებისთვის დაბრუნებას. ამასთან, უფლების ღირებულება შეფასებულ უნდა იქნეს „დიდ ოთხეულში" შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ.

25. თუ რეკლამის გავრცელების შედეგად დაზიანდა ქონება/უფლების გამცემის მოძრავი ქონება, ან რეკლამის დემონტაჟმა გამოიწვია მისი ვიზუალის დარღვევა, უფლების მიმღები ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული ქონების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (მათ შორის ავტობუსის საღებავის საფარის აღდგენა).

26. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

27. მხარეებს შორის სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი კომუნიკაცია წარიმართება წერილობითი ფორმით, მატერიალური ან ელექტრონული სახით (ელ-ფოსტით ან შეტყობინების სხვა ტექნიკური საშუალებით), სახელმწიფო ენაზე. ამასთან, მატერიალური წერილობითი შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს საფოსტო გზავნილით, უშუალო გადაცემით და ტექნიკური საშუალებებით (ელექტრონული ფოსტა, ფაქსი და სხვ.). ეს პუნქტი ვრცელდება მხარეთა შორის კომუნიკაციის ამ საუქციონო პირობებით გათვალისწინებულ ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც ითვალისწინებს კომუნიკაციის წერილობით ფორმას.

28. მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. ურთიერთმოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები დავის გადაჭრის მიზნით მიმართავენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

5003756020

№ 5003756020
09/07/2020 5

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს დირექტორს ბატონ
ბადრი ფარტენაძეს

ბატონო ბადრი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N01/04-168 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 9 ივლისის რეგისტრაციის N1004324520) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N003870120 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ გამყრელიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5003756020

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 09.07.20 (ხელმოწერა)

003870120

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუფლებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: ბადრი ფარტენაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

დავით ამაშუკელი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 15 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი №P-0132 და №A-0123

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ჩვენი მომართვის საფუძველზე თქვენს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა N0083818820 - თან დაკავშირებით წარმოგიდგენთ დამატებით ინფორმაციას. ვინაიდან ჩვენს მიერ მოწოდებული მონაცემებით ვადასტურებთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის ბალანსზე იმყოფება 152 ერთეული ავტობუსი, აგრეთვე მუნიციპალური ტრანსპორტის სარეკლამო სივრცის ოდენობა შეადგენს - 4482.3 კვ.მ.-ს. ასევე ჩვენს მიერ თავდაპირველად მოწოდებული იქნა შემოსავლები წლების მიხედვით 2016 წელი - 106 573 ლარი, 2017 წელი - 115 258 ლარი, 2018 105 142 ლარი და 2019 წელი - 70 870 ლარი. დამატებით მომართვის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ იქნა ტექნიკური შეცდომა დაშვებული და არ განხორციელებულა სრულად ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება კერძოდ, მაგალითისთვის რომ წარმოგიდგინოთ 2017 წელს 70 ერთეული მუნიციპალური ავტობუსის სარეკლამო სივრცის საშუალოდ 2100 კვ.მ.-ის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი შეადგინა - 115 258 ლარს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოწოდებით გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავალი 2017 წლის მიხედვით შეადგენდა ზემოთაღნიშნულ თანხას - კონკრეტულად პარკის შესაბამისი ავტობუსების რაოდენობის ფართების გაქირავებით. რაც გულისხმობს იმას, რომ შემოსავლები მიღებულია პარკის არა სრულად 4482.3 კვ.მ.-ის გაქირავებით არამედ ავტოპარკის ნაწილობრივი ათვისებით. აქვე გვსურს განმარტების სახით მოგვაწოდოთ ინფორმაცია როგორ და რა კრიტერიუმის იქნა დადგენილი დასკვნაში 17%-იანი ზღვარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გვსურს, რომ ჩვენს მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ცვლილება შეიტანოთ ექსპერტიზის დასკვნა N0083818820-ში და დაადგინოთ რა თანხას შეადგენს მუნიციპალური პარკის სარეკლამო სივრცის სრულად 4482.3 კვ.მ-ის ათვისების შემთხვევაში 30 წლის ვადით ერთიანი წინასწარი გადახდით ფასის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით მისაღები შემოსავალი.

შემოსვლის თარიღი: 09/07/2020 წ

გასვლის თარიღი: 09/07/2020 წ

დასკვნა

შპს ,,ბათუმი ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482,3 კვ.მ.-ის ფართის (იჯარა)

სარგებლობის უფლების გადაცემის ღირებულება 30 წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით შეადგენს **1451267** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

დავით ამაშუკელი

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმულია საკითხი დადგინდეს შპს „ბათუმი ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482.3 კვ.მ.-ის ღირებულება მომდევნო 30 წლის განმავლობაში, ერთიანი წინასწარი გადახდის შემთხვევაში, მომდევნო 30 წლის განმავლობაში სარეკლამო სივრცის ფასის ზრდის დინამიკის გათვალისწინებით.

ექსპერტს შპს „ბათუმი ავტოტრანსპორტი"-ს მიერ მიეწოდა ინფორმაცია მათ კუთვნილ ავტობუსებზე ბოლო 4 წლის განმავლობაში სარეკლამო სივრცის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ და შეადგინა შემდეგი: 2016 წელი - 106573 ლარი; 2017 წელი - 115258 ლარი; 2018 წელი - 105142 ლარი, 2019 წელი - 70870 ლარი.

ასევე, დამკვეთის მიერ მოწოდებული იქნა რომ დეტალური სტატისტიკა წლების და თვეების მიხედვით თუ რა ფართები ქონდათ გაქირავებული არ გააჩნიათ. დაზუსტებული იქნა მოწოდებული ინფორმაცია მთლიანი გასაქირავებელი ფართების ოდენობის შესახებ, რამაც 2016-წელს შეადგინა - 4198 კვ.მ., 2017 წელს შეადგინა 2100 კვ.მ. ხოლო 2018-2019 წლებში შეადგინა 3823 კვ.მ. მიმდინარე ეტაპზე საწარმოს ბალანსზე ირიცხება 152 ავტობუსი. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ხარჯები, ეხლანდელი და ადრეული პერიოდის ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იყო და არის სარეკლამო მომსახურეობასთან სრულად იფარება დამკვეთების მიერ.

შეფასების მეთოდოლოგია

საბაზრო ღირებულების დეფინიცია

„საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომელითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე" (IVS --1, პარა. 3.1.).

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. უძრავი ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გააქირაოს/იქირაოს ქონება გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში.

შეფასების გამოყენებული მეთოდი

ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ ***გაყიდვების (გაქირავების) შედარების მიხედვით მიდგომა***, *რაც* გულისხმობს შემდეგს: შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას ანალოგების იმ მონაცემებთან, რომლებიც იჯარით იქნა გაცემული ან რომლებიც განცხადებული არიან გასაქირავებლად.

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ

გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს მის მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში/ობიექტის სავარაუდო გასაქირავებელი ფასი/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება გაქირავებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით.
2. შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ შესაფასებელი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.
4. შემფასებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის საიჯარო ღირებულებაზე.

გაყიდვების (გაქირავების) შედარების მიხედვით მიდგომა

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელმა განახორციელა ქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა:

- გამოიკვლია ბაზარი (მოახდინა ბაზრის იმ მონაცემების მოპოვება და ანალიზი, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ დადგენილიყო ანალოგიური უძრავი ქონების ობიექტები);
- დაადგინა ინფორმაციის სისწორე;
- შეარჩია შედარების ის ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა შესაფასებელი ქონების ობიექტის შედარება ანალოგებთან;
- შეადარა გასაქირავებელი ქონების ობიექტები განსახილველ ქონებას, შედარების ელემენტების გამოყენებით;
- დააკორექტირა ყველა ანალოგიური დადგენილი შედარების ელემენტის ფასები შესაფასებელი უძრავი ქონების ელემენტებთან მიმართებაში;
- დაადგინა შესაფასებელი უძრავი ქონების საიჯარო ღირებულება ანალოგებთან დაკორექტირებული ფასების შეჯერების გზით.

შედარების ელემენტები

შედარების ელემენტები განსაზღვრავენ ქონების ობიექტების და გარიგებების სპეციფიურ მახასიათებლებს, რომლებიც ხსნიან ფასების ვარიაციებს. ბაზრის ანალიზი აკლენს, რომელი ელემენტებია განსაკუთრებით მგრძნობიარე.

გაქირავების შესადარისი მონაცემების ანალიზისას ძირითადად ითვლება შემდეგი შედარების ელემენტები:

- *უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებების გადაცემა...*
- *ფინანსირების პირობები ....*
- *გაყიდვის პირობები ....*
- *დანახარჯები, რომელიც გასაწევია უშუალოდ ყიდვის შემდეგ ...*
- *ბაზრის პირობები ...*
- *ადგილმდებარეობა ....*
- *ფიზიკური მახასიათებლები ...*
- *ეკონომიკური მახასიათებლები ...*
- *გამოყენება ...*
- *გაყიდვის არა-უძრავი კომპონენტები...”*

$$PV = C\frac{1-\frac{1}{(1+r)^n}}{r}$$

PV – ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება

C = მისაღები თანხა თითოეული პერიოდისთვის

r = საპროცენტო განაკვეთი (დისკონტის განაკვეთი)

n = პერიოდი

ექსპერტის მიერ ჩატარებული იქნა კვლევა სარეკლამო ბანერების განთავსების საბაზრო საიჯარო ღირებულების შესახებ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საიჯარო ღირებულება ძირითადად დამოკიდებულია ობიექტის მდებარეობაზე, რეკლამის განთავსების ხანგრძლივობასა, ფართობზე, განთავსების სირთულეზე, ხილვადობაზე და სხვა ფაქტორებზე.

ექსპერტის მიერ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482.3 კვ.მ.-ის ღირებულების დადგენა მოხდა დამკვეთის მიერ მოწოდებული წინა პერიოდის შემოსავლების და ხარჯების გათვალისწინებით.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი კლებულობს და ვინაიდან ითხოვენ ფასების ზრდის დინამიკის გათვალისწინებას ღირებულების დადგენისას, შესაბამისად ექსპერტის მიერ მოხდა ღირებულების დაანგარიშება წლების განმავლობაში უმაღლესი შემოსავლის მიხედვით გაქირავებული ფართობის გათვალისწინებითაც, რამაც 2017 წელს შეადგინა 115258 ლარი (მთლიანი გასაქირავებელი ფართობი 2100 კვ.მ.).

შეფასების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ექსპერტის მიერ აღებული იქნა ბოლო 4 წლის შემოსავალიდან უმაღლესი ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის გაქირავებიდან, სადაც ასევე გათვალისიწინებული იქნა გასაქირავებელი ფართის რაოდენობა რაც შეადგენდა 2100 კვ.მ.. აღნიშნულ თანხას (115258 ლარი) გამოაკლდა მეიჯარის მიერ გაწეულ ხარჯები, რომელიც მიმდინარე ეტაპზე 0-ის ტოლია და დაემატა გასულ პერიოდში გასაქირავებელ ფართს და დღევანდელ გასაქირავებელ ფართს შორის სხვაობის პროცენტი ფართის მოცულობის გათვალიწინებითაც რამაც შეადგინა დაახლოებით 80% და ასევე პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს მოგების მარჟას, რაც ბაზარზე მოძიებული ინფორმაციის შეჯერებისა და გასაშუალოებით დაახლოებით შეადგენს 20%-ს და შესაბამისად, დადგენილ იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ავტობუსებზე სარეკლამო მიზნებისთვის განთავსებული ფართების ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება დამკვეთის მიერ მოწოდებულ შემოსავლების/ხარჯების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482.3 კვ.მ.-ის ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება, დამკვეთის მიერ მოწოდებულ შემოსავლების/ხარჯების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **248 957** ლარს (115258+80%+20%) დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე დასადგენია 30 წლის ვადით 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში საწყისი საუქციონე ღირებულება. ჩვენივის ცნობილია 1 წლის წმინდა იჯარის ღირებულება და კოეფიციენტის ოდენობა, რაც შეადგენს 30 წლიანი იჯარის შემთხვევაში 17%-ს (17% წარმოადგენს ბიუროს მიერ დადგენილ სტატისტიკურ მონაცემს და საბაზრო მეთოდით გამოყვანილ საშუალო მაჩვენებელს მსგავსი დარგისათვის).

100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში საიჯარო ღირებულების/სარგებლობის უფლების ღირებულების დასადგენად გამოყენებული იქნა ანუიტეტის მიმდინარე ღირებულების ფორმულა: იხ. დანართი N1.

PV – ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება

C = მისაღები თანხა თითოეული პერიოდისთვის

r = საპროცენტო განაკვეთი (დისკონტის განაკვეთი)

n = პერიოდი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482.3 კვ.მ.-ის ფართის (იჯარა) სარგებლობის უფლების გადაცემის ღირებულება:

სარგებლობის უფლების (იჯარა) ღირებულება გადაცემის ვადა - 30 წელი და ანგარიშსწორების პირობები - 100% წინასწარი ანგარიშსწორება - **1 451 267** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

დავით ამაშუკელი

003870120

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
BATUMI AUTOTRANSPORT LTD

01/04-161

03 ივლისი 2020 წ.

ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს
აჭარის რეგიონულ დეპარტამენტს

გთხოვთ განგვისაზღვროთ შპს „ბათუმი ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის - სულ 4482.3 კვ.მ-ის ღირებულება მომდევნო 30 წლის განმავლობაში ერთიანი წინასწარი გადახდის შემთხვევაში. ასევე გთხოვთ გაითვალისწინოთ მომდევნო 30 წლის განმავლობაში სარეკლამო სივრცის ფასის ზრდის დინამიკა.

დანართის სახით წარმოგიდგენთ გასული 4 წლის შემოსავლებს ავტობუსის სარეკლამო ფართის გაქირავებიდან.

პატივისცემით,

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს
დირექტორი
ბადრი ფარტენაძე

საიდენტიფიკაციო კოდი: ქ. ბათუმის სასამართლე
რეგ.№ 01/04-1968; თარიღი 30.09.2004
ტელ: (0422) 24-71-80 ფაქსი: (0422) 24-71-80

მისამართი: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის №13
დირექტორი: ბადრი ფარტენაძე
E-mail: info@batauto.ge , http: www.batauto.ge

შ.პ.ს ბათუმის ავტოტრანსპორტის დირექტორს

ბატონ ბადრი ფარტენაძეს

ამავე საწარმოს ტექნიკური სამსახურის უფროსის

როსტომ ხაბაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ამა წლის, 3 ივნისს, ტექნიკური სამსახურის მიერ, გახომილი იქნა ჩვენს საწარმოს ბალანსზე რიცხული ავტობუსების გვერდითი ზედაპირის ფართობი, სადაც შესაძლებელი იქნება განთავსდეს სარეკლამო სტიკერები.

ავტობუსების მარკების მიხედვით სარეკლამო ფართი შეადგენს შემდეგს:

1. ავტობუსი FAW : 20,794 მ² X 19 ერთ. = 395,086 მ²

2. ავტობუსი ZONDA : 34,28 მ² X 81 ერთ. = 2776,7 მ²

3. ავტობუსი BOGDAN : 14,99 მ² X 12 ერთ. = 180 მ²

4. ავტობუსი ISUZU : 28,262 მ² X 40 ერთ. = 1130,5 მ²

საერთო ფართი შეადგენს : 4482,286 მ²

20,794 მ² X 19 ერთ. + 34,28 მ² X 81 ერთ. + 14,99 მ² X 12 ერთ. + 28,262 მ² X 40 ერთ. = 395,086 მ² + 2776,7 მ² + 180 მ² + 1130,5 მ² = 4482,286 მ²

მომხსენებელი : როსტომ ხაბაძე

03.07.2020

2016,2017,2018 ,2019 წლებში შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის"

შემოსავალი რეკლამებიდან

3.07.2020 წელი

წელი	შემოსავალი(ლარი)
2016	106573
2017	115258
2018	105142
2019	70870
სულ	397843

ფინანსური განყოფილების

უფროსი

ქეთევან გოგუაძე

შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
BATUMI AUTOTRANSPORT LTD

დ02-95

29.07.2020 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ასევე წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოვალეობების განხორციელება. წლების განმავლობაში კომპანია ახორციელებს სარეკლამო მომსახურეობას, რეკლამის გავრცელებას - რაც გულისხმობს და მოიცავს ავტობუსის მთლიან კონსტრუქციას საქარე მინების ჩათვლით გარე ფასადზე მარჯვენა, მარცხენა და უკანა ნაწილზე რეკლამის განთავსებას „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. გასული წლების სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს აღნიშნული მიმართულებით გვაქვს გარკვეული სახის შემოსავლები, კერძო 2016 წელს რეკლამიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს - 106 573 ლარს, 2017 წელს - 115 258 ლარს, 2018 წელს - 105 142 ლარს და 2019 წელს 70 870 ლარს. აღნიშნული თანხები შემოსულია სხვადასხვა პერიოდში ავტობუსების სხვადასხვა სარეკლამო ფართიდან. მიმდინარე პერიოდისთვის სარეკლამო სივრცის ოდენობა შეადგენს 4482. კვ.მ-ს.

ვინაიდან ვაკვირდებით გასული წლების სტატისტიკას და ნათლად ჩანს რომ კლებადია ავტობუსების სარეკლამო ფართის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, მივმართეთ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" იმ მიზნით, რომ თუ ორგანიზაცია განახორციელებს აღნიშნული სარეკლამო ფართების იჯარით გაცემას 30 წლის ვადით რა იქნება ღირებულება წინასწარი ანგარიშსწორებით. 2020 წლის 09 ივლისის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიის ეროვნული ბიუროს დასკვნით (№003870120) მივიღეთ პასუხი, რომ „შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს კუთვნილ ავტობუსებზე სარეკლამო სივრცის სულ 4482.3 ფართის (იჯარა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ღირებულება 30 წლის ვადით და 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით შეადგენს 1 451 267 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

ჩვენს მიერ იქნა მომზადებული მოსაზრება ტექნიკურ პირობებთან ერთად, ელექტრონული აუქციონის მეშვეობით განხორციელდეს 30 წლის ვადით ავტობუსების სარეკლამო სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემა და საწყის თანხად განისაზღვრა 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარი. აღნიშნული თანხით შევძლებთ ავტოპარკის განახლებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის.

წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას განსახილველად და იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხს მიზანშეწონილად გთხოვთ

საფოსტო-სამართლებრივი მისამართი: ქ. ბათუმის სასამართლო
რეგ.№: 01.04.1968; თარიღი: 30.09.2004
ს.კ: 245 445 200

მისამართი: ქ. ბათუმი, ჩიჩხანი-ნაბადა ფრანჩესკანის N 13
ტელ: (0 422) 24-76-76 / +995 595 97 05 05
ელ.მისამართი: info@batauto.ge

www.batauto.ge

შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
BATUMI AUTOTRANSPORT LTD

საკითხი წარადგინოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განსახორციელებლად წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში.

დანართის სახით წარმოგიდგენთ

1. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს 11 ფურცლად.
2. შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის" ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის პირობები 04 ფურცლად.

პატივისცემით,
დირექტორი

ბადრი ფარტენაძე

ნაბეჭდი ორგანული პირადობის: ქ. ბათუმის სასამართლოს
რეგ.N 01.04.1968; ცვლილება 30.09.2004
ს.კ: 245 445 200

მისამართი: ქ. ბათუმი, ვეფხისტყაოსნის ფერდობის N13
ტელ: (0-422) 24-76-76 / +995 593 97 05 05
ელ.ფოსტა: info@batauto.ge

www.batauto.ge